ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2978429

ნომერი: AR1459999

თარიღი : 01.12.2016

გაცემის თარიღი : 05.12.2016

გაცნობის თარიღი : 08.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თბილისიდან კოჯრისაკენ მიმავალი , გზის მიმდებარედ (ნაკვ. 05/001) / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 13 / ქალაქი თბილისი , კოჯრის გზატკეცილი, სტელა "თბილისი"-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N13-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/004);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვეფხვია დვალი პ/ნ 38001004585
- საჩხერე ს. საირხე

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ფინსერვისი XXI"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205030214
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვეფხვია დვალი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 38001004585

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 571.0

- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 866.6
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 4642.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1408.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 3234.4
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 15.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 5.84
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 9.16

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, სექტორი- მთაწმინდა, თბილისიდან კოჯრისაკენ მიმავალი, გზის მიმდებარედ (ნაკვ. 05/001) / ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კოჯორი, N 13 / ქალაქი თბილისი, კოჯორის გზატკეცილი, სტელა „თბილისი“-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კოჯორი, N13-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/004), საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.15.08.005.013), არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი.
2. გაიცეს მშენებლობის (დემონტაჟის) ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის (დემონტაჟის) სანებართვო მოწმობა.
3. დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 05 დეკემბრიდან 2017 წლის 05 მარტის ჩათვლით.
4. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, მათ შორის:
4.1. საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;
4.2. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 61-ე მუხლის და „მშენებლობის უსაფრთხოების წესების“ (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 28.03.2007 წლის №62 დადგენილებით) მოთხოვნათა შესაბამისად;
4.3. მწვანე ნარგავების (გარდა ხილ-კენკროვანი მცენარეებისა) ჭრის/გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ნებართვა.
4.4. მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.